მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო– საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №1

ქ. მარტვილი 24 იანვარი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 13^{00} სთ-ზე, დამთავრდა 14^{30} სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ზურაბ მელიავა, ლევან სურმავა ნათია ბჟალავა, ირაკლი დიხამინჯია, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, მიხეილ ნაჭყებია.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ მელიავა.

სხდომის თავმჯდომარემ ზურაბ მელიავამ დღის წესრიგი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ზურაბ მელიავა კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წერილი სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №115 განკარგულებით მარტვილის მუნიციპალიტეტს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოეყო 96000 ლარი და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებით მარტვილის მუნიციპალიტეტს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოეყო 80000 ლარი, 18 იანვარს მერის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში შევიდა ცვლილება, კერძოდ ბიუჯეტი გაიზარდა სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანბით, აქედან გამომდინარე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილია კორექტირებული ბიუჯეტის პროექტი.

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ვლადიმერ დანელიამ აღნიშნა, რომ ის მხარს არ დაუჭერს აღნიშნულ ცვლილებას რადგან ფრაქცია ენმ–ს მიერ წამოჭრილი არცერთი საკითხი არ გათვალიწინებულა.

ამის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 5. წინააღმდეგი 2.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ზურაბ მელიავა